ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №3

დ. ჩხოროწყუ. **8 იანვარი, 2015 წელი**

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, ,,სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე მუხლისა და ,,ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსათვის უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 იანვრის № 1 განკარგულების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.გადაეცეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 წლის ვადით, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის ლიკვიდაციის პროცესში აღრიცხული უძრავი ქონება - არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწა 627. 00 კვ.მ-ის ოდენობით, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით, განაშენიანების ფართი -145.7 კვ.მ, მდებარე დ. ჩხოროწყუში, მერაბ კოსტავას ქუჩაზე (მიწის (უძრავი) ქონების საკადასტრო კოდი №46.02.32.105).

2. დაევალოს გამგეობის ეკონომიკის, ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურს (ე. მალანია) უზრუნველყოს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ ხელშეკრულებისა და მიღება - ჩაბარების აქტის მომზადება საქართველოს კანომდებლობით დადგენილ ვადებში.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. №12).

GOVERNMENT OF CHKHEROWKA
242268791

დათო ბუბუა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებელი